

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ბერძნულ–რომაული ფილოლოგია / Greek-Roman Philology

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სამ არჩევით სასპეციალიზაციო მოდულს: 1. კლასიკური ფილოლოგია; 2. ბიზანტიური ფილოლოგია; 3. ახალი ბერძნული ფილოლოგია.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი ან ბიზანტიური ფილოლოგიის მაგისტრი ან ახალი ბერძნული ფილოლოგიის მაგისტრი (სტუდენტის მიერ არჩეული სასპეციალიზაციო მოდულის მიხედვით)

Master of Arts in Classical Philology or Master of Arts in Byzantine Philology or Master of Arts in Modern Greek Philology

**სპეციალიზაცია:** კლასიკური ფილოლოგია / ბიზანტიური ფილოლოგია / ახალი ბერძნული ფილოლოგია

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS კრედიტი.

**მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:**

**30 ECTS** კრედიტი ეთმობა სამივე სასპეციალიზაციო მოდულისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს.

**30 ECTS** კრედიტი განკუთვნილია თითოეული სასპეციალიზაციო მოდულისათვის სავალდებულო დისციპლინებისთვის.

**30 ECTS** კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი სასწავლო კურსების არჩევა როგორც თავისი სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე მოდულის არჩევითი დისციპლინებიდან.

**30 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომისათვის.

**სწავლების ენა:** ქართული.

ახალი ბერძნული ფილოლოგიის სასპეციალიზაციო მოდულის ცალკეული სასწავლო კურსის სწავლების ენა არის ახალი ბერძნული.

**მიზანი:** სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს: კლასიკური, ბიზანტიური (შუა საუკუნეების) და ახალი ბერძნული ენის სპეციალისტები, მთარგმნელები ძველი ბერძნული, ლათინური, ბიზანტიური (შუა საუკუნეების) და ახალი ბერძნული

ენებიდან, კლასიკური ენებისა და ახალი ბერძნულის, ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ კვლევას უახლესი მეთოდების გამოყენებით. სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები როგორც ანტიკურ საბერძნეთთან და რომთან, ისე ბიზანტიასთან და თანამედროვე საბერძნეთთან; საქართველოში მნიშვნელოვანი ბერძნული დიასპორის არსებობა; ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს როლი და მნიშვნელობა როგორც ევროპული ცივილიზაციის, ისე ქართული კულტურის ფორმირების პროცესში, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის როლი და ადგილი მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტის კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლოვანი სამეცნიერო კონტაქტები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან და ამ ტრადიციის გაღრმავების აუცილებლობა.

პროგრამა მიზნად ისახავს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის – კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის – სპეციალისტების მომზადებას, რომელთა დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო-საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ. ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა იძლევა შესაბამისი დარგების ღრმა და სისტემურ ცოდნას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩვევებს, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის, არამედ ზოგადად ფილოლოგიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს: ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული კულტურული ფასეულობების შესწავლასა და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის განვითარებას; ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობის, ბიზანტიური და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში; საქართველოსა და საბერძნეთს შორის უკვე არსებული ურთიერთობების, ქართულ-ბერძნული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებას.

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- "ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ნებისმიერი მიმართულების/დარგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს (სასურველია, თუმცა სავალდებულო არ არის მაგისტრანტობის კანდიდატს ბაკალავრიატში

სწავლის დროს გავლილი ჰქონდეს კლასიკური, ბიზანტიური ან ახალი ბერძნული ფილოლოგია, როგორც ძირითადი ან დამატებითი სპეციალობა).

- ბერძნულ-რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა, გარდა საერთო სამაგისტრო გამოცდისა, გახლავთ წერითი გამოცდა სპეციალობაში და უცხო ენის (ინგლისურის/გერმანულის/ფრანგულის) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). ბერძნულ რომაული ფილოლოგიის აღნიშნული პროგრამის თითოეულ მოდულზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ შესაბამისი ცოდნის დადასტურების მიზნით, შემუშავებულია კომბინირებული სპეციალობის გამოცდა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ცოდნის მქონე პირების დაშვებას სასწავლო პროცესში.

**სწავლის შედეგი:** ბერძნულ-რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

### **კლასიკური ფილოლოგიის მოდული**

ბერძნულ-რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კლასიკური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებულს აქვს კლასიკური ფილოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც კურსდამთავრებულს შესაბამის სფეროში მიღებული უახლესი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი, თანამედროვე და ორიგინალური იდეების, მოსაზრებებისა და ჰიპოთეზების შემუშავების საშუალებას აძლევს. კურსდამთავრებულს შეუძლია აგრეთვე კლასიკური ფილოლოგიის სფეროში აქტუალური და რთული სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება და შესაბამისი მეთოდების შერჩევა, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენებით.

კურსდამთავრებულს აქვს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში შემავალი დისციპლინების რთული და კომპლექსური პრობლემატიკის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თანამედროვე ჰიპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების და მიღებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;

კურსდამთავრებულს აქვს აგრეთვე აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კლასიკური ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართულად და იმ უცხო ენაზე, რომელსაც ის ფლობს, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტებისა და დასკვნების გაზიარების მიზნით; კურსდამთავრებულს შეუძლია სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენებით; კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული უახლესი ელექტრონული რესურსების – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

კურსდამთავრებულს აქვს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული უახლესი ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების, სწავლისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად გაგრძელების, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვის უნარი.

კურსდამთავრებულს აქვს აგრეთვე კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებისა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი. იგი პატივს სცემს საკუთარ პროფესიას, პროფესიული ეთიკის ნორმებს, ინტელექტუალურ საკუთრებას, მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს, ზოგადსაკაცობრიო, ევროპულ და ეროვნულ ღირებულებებს.

<p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.</p>	<p>სტუდენტმა იცის:</p> <p>1.1. ანტიკური ეპოსი ღრმად და სისტემურად; ანტიკურ ეპოსთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკა; სრულად და ფრაგმენტულად მოღწეული პოემების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და ლათინური ეპიკური ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური ეპოსის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები;</p> <p>1.2. ანტიკური ლირიკა ღრმად და სისტემურად; ანტიკურ ლირიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკა; ლირიკოსთა ფრაგმენტულად და სრულად მოღწეული ტექსტების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და რომაული ლირიკული ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური ლირიკის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები;</p> <p>1.3. ანტიკური დრამა ღრმად და სისტემურად; კლასიკური ბერძნული ტრაგედიისა და კომედიის, ახალატიკური და რომაული კომედიის, რომაული ტრაგედიის კვლევასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკა; ანტიკური დრამის ფრაგმენტულად და სრულად მოღწეული ტექსტების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და რომაული დრამატული ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური დრამის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები;</p> <p>1.4. ძველი ბერძნული ენის ისტორია; ძველი ბერძნული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის განვითარების ეტაპები და მათი თავისებურებები; ძველი ბერძნული ენის დიალექტების თავისებურებები და</p>
---------------------------------	--	---

		<p>მათი ჩამოყალიბების ისტორია;</p> <p>1.5. ლათინური ენის ისტორია; ლათინური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის განვითარების ეტაპები და მათი თავისებურებები; ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწევს ლათინური ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს;</p> <p>1.6. მეტრული ლექსთწყობის თეორია, ანტიკური ლექსთწყობის სისტემა, ბერძნული და ლათინური დეკლამაციური და სასიმღერო პოეზიის საზომები (კატა მეტრონ და უკ კატა მეტრონ);</p> <p>1.7. მედიტერანულ (შუმერულ, პროტოხათურ, წინაბერძნულ, ეტრუსკულ) ენათა ქართველურ ენებთან მიმართების პრობლემატიკასთან დაკავშირებული ჰიპოთეზები და თეორიები; უძველესი მედიტერანული ენების გრამატიკისა და ლექსიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები;</p> <p>1.8. ანტიკური და თანამედროვე ლიტერატურული კონცეფციები; ტრადიციულობის საფუძველი თანამედროვე მხატვრულ აზროვნებაში; ანტიკური ტრადიციის მუდმივობის ისტორიული და კულტურული მიზეზები;</p> <p>1.9. ანტიკურ სამყაროში ქალის ფუნქცია და როლი; გენდერული პრობლემატიკის ამსახველი ანტიკური ლიტერატურული წყაროები; ანტიკურობაში გენდერული კვლევების უმთავრესი პრობლემატიკა და თეორიები; გენდერული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიები; ქალთა ანტიკური და თანამედროვე პრობლემატიკის მიმართებები;</p> <p>1.10. ახალი ბერძნული ენა ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების ექსდონიანი სისტემის დამოუკიდებელ, ე.წ. ზღვრულ B1 დონეზე;</p> <p>1.11. ერთ-ერთი ევროპული ენა (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად;</p> <p><b>შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში:</b></p> <p>1.12. ძველი ბერძენი ავტორის (შერჩევით) ცხოვრებისა და შემოქმედების განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები; შერჩეული ნაწარმოების/ნაწარმოებების მხატვრული და კონცეპტუალური მახასიათებლები;</p>
--	--	---

		<p>1.13. რომელი ავტორის (შერჩევით) ცხოვრებისა და შემოქმედების განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები; შერჩეული ნაწარმოების/ნაწარმოებების მხატვრული და კონცეპტუალური მახასიათებლები;</p> <p>1.14. ძველი ბერძნული ენის ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ცნებები, პრინციპები და მახასიათებლები; ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ადგილი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინებს შორის;</p> <p>1.15. ლათინური ენის სასაუბრო ელემენტები: სტილისტიკა, ლექსიკა და ფრაზეოლოგია;</p> <p>1.16. იტალიური ენის გრამატიკა, სტილისტიკა, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, იდიომატიკა; იტალიური ენის ისტორიული გრამატიკის საფუძვლები; ლათინური და იტალიური ენების შედარებითი გრამატიკის საფუძვლები;</p> <p>1.17. მითორიტუალური მოდელების, კოდების, სიმბოლოების გარდასახვა ლიტერატურულ სახეებად; განსხვავებები ტექსტის ტიპებს შორის (ისტორიული, მითოგრაფიული, მხატვრული და სხვ.); მხატვრული ტექსტის და „საბაზო მოდელების“ რაობა; მხატვრული ტექსტის ერთ–ერთი მთავარი კომპონენტის – ტროპების ფორმირება და ფუნქციები;</p> <p>1.18. ანტიკური სამყაროს ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობა და პოეტ ქალთა შემოქმედება;</p> <p>1.19. ძვ. წ. V-IV სს–ების ათენური სასამართლო ორატორიის ძირითადი ძეგლები თანადროულ სოციალურ კონტექსტთან მიმართებაში; ძველი ბერძნული იურისპრუდენციის საფუძვლები; ძველი ბერძნული სამართლის ინსტიტუტებისა და თანამედროვე კანონმდებლობის მიმართებები;</p> <p>1.20. ჰომეროლოგიისა და რუსთველოლოგიის სამეცნიერო პრობლემატიკა და მისი შესწავლისათვის აუცილებელი ლიტერატურათმცოდნეობითი/კომპარატივისტული კვლევის მეთოდები;</p>
<p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი,</p>	<p>სტუდენტს შეუძლია:</p> <p>2.1. ბერძნულ–რომაული და კერძოდ კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიება ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი, კომპარატივისტული</p>

	<p>ორიგინალური გზების მოძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p>	<p>და გენდერული კვლევის მეთოდების გამოყენებით;</p> <p>2.2. კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება და რეფერატული ნაშრომის მომზადება ბერძნულ–რომაული და კერძოდ კლასიკური ფილოლოგიის ამა თუ იმ დისციპლინის ცალკეულ ასპექტთა შესახებ;</p> <p>2.3. ბერძნულ–რომაულ ფილოლოგიასთან და კერძოდ კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობა;</p> <p>2.4. ძველ ბერძნულ და ლათინურ ტექსტთა ანალიზი და ინტერპრეტაცია ანტიკური და თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების გათვალისწინებით;</p> <p>2.5. ძველ ბერძნულ დიალექტებზე არსებული ტექსტების ლინგვისტური ანალიზი სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში;</p> <p>2.6. ბერძნული და ლათინური პოეტური ტექსტების მეტრული თვალსაზრისით სწორი კითხვა;</p> <p>2.7. კლასიკური ფილოლოგიის სფეროს აქტუალური, რთული და კომპლექსური სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება;</p> <p>2.8. ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში;</p> <p><b>შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში:</b></p> <p>2.9. ნებისმიერი სირთულის ტექსტის წაკითხვა და თარგმნა ძველი ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ძველ ბერძნულად, შესაბამისი ფილოლოგიური (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი) კომენტარების მომზადება;</p> <p>2.10. ნებისმიერი სირთულის ტექსტის წაკითხვა და თარგმნა ლათინურიდან ქართულად და ქართულიდან ლათინურად, შესაბამისი ფილოლოგიური (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი) კომენტარების მომზადება;</p> <p>2.11. ძველი ბერძენი ავტორის ლექსიკონის შედგენა ლექსიკოგრაფიული მეთოდების გამოყენებით;</p>
--	--	---

		<p>2.12. ლათინურად ზეპირი კომუნიკაცია მარტივი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით;</p> <p>2.13. იტალიურიდან ქართულად და ქართულიდან იტალიურად საშუალო სირთულის ტექტის თარგმნა;</p> <p>2.14. იტალიური ენის გრამატიკული ფორმების ანალიზი ისტორიული და შედარებითი გრამატიკის ჭრილში;</p> <p>2.15. მხატვრულ ტექსტში ტროპების გამოყოფა, ტროპების ფუნქციისა და ტექსტის მხატვრულობის განსაზღვრა;</p> <p>2.16. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ (ჰომეროსის ეპოსი, რუსთველის <i>ვეფხისტყაოსანი</i>, ჯადოსნური ზღაპარი, შუასაუკუნეების ევროპული საგმირო ეპოსი და სარაინდო რომანი) გარემოსთან ადაპტაცია;</p>
3. დასკვნის უნარი	<p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>	<p>სტუდენტს აქვს:</p> <p>3.1. ბერძნულ–რომაული და კერძოდ კლასიკური ფილოლოგიის სფეროში შემავალი დისციპლინების რთული და კომპლექსური პრობლემატიკის კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნებისა და არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>3.2. ბერძნულ–რომაული და კერძოდ კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული უახლესი ინფორმაციის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თანამედროვე ჰიპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>3.3. ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სფეროში მიღებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;</p> <p>3.4. ძველი ბერძნული და ლათინური ენების მორფოლოგიის, სინტაქსისა და სტილისტიკის განმარტების უნარი მშობლიურ ენასთან მიმართებაში; 25, 26, 30</p> <p>3.5. იტალიური ენის გრამატიკის განმარტების უნარი ქართულ და ლათინურ ენებთან მიმართებაში (არჩევს შემთხვევაში);</p>
4. კომუნიკაციის უნარი	<p>თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და</p>	<p>სტუდენტს აქვს:</p>



	<p>კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.</p>	<p>4.1. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ბერძნულ-რომაული და კერძოდ კლასიკური ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართულად და იმ უცხო ენაზე (ენებზე), რომელსაც ის ფლობს, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტებისა და დასკვნების გაზიარების მიზნით;</p> <p>4.2. ახალბერძნულად ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;</p> <p>4.3. სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობისა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენებით;</p> <p>4.4. საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;</p> <p>4.5. ბერძნულ-რომაულ და კერძოდ კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული უახლესი ელექტრონული რესურსების – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;</p> <p>4.6. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ლათინურად კომუნიკაციის უნარი (არჩევის შემთხვევაში);</p> <p>4.7. იტალიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი საშუალო სირთულის სინტაქსური კონსტრუქციებისა და ფრაზების გამოყენებით (არჩევის შემთხვევაში);</p>
<p>5. სწავლის უნარი</p>	<p>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.</p>	<p>სტუდენტს აქვს:</p> <p>5.1. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვის უნარი;</p> <p>5.2. ბერძნულ-რომაული და კერძოდ კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული პუბლიკაციების, ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების უნარი;</p> <p>5.3. ბერძნულ-რომაული და კერძოდ კლასიკური ფილოლოგიის სფეროში დამოუკიდებლად სწავლისა და სამეცნიერო კვლევის გაგრძელების უნარი;</p>

<p>6. ღირებულებები</p>	<p>ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>	<p>5.4. საკუთარი დროისა და საქმიანობის დაგეგმვის უნარი; სტუდენტს აქვს:</p> <p>6.1. საკუთარი პროფესიისადმი, დაკისრებული მოვალეობებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა; 6.2. პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა; 6.3. ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი; 6.4. მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობა; 6.5. ზოგადსაკაცობრიო, ევროპული და ეროვნული ღირებულებების მიმართ პატივისცემის გრძნობა; 6.6. ბერძნულ–რომაულ და კერძოდ კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი; 6.7. კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი; 6.8. როგორც იტალიური ენისა და კულტურის, ისე კლასიკური ფილოლოგიის ღირებულებების საერთო ევროპული და საკაცობრიო მნიშვნელობის გაცნობიერების უნარი და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა; კლასიკური და თანამედროვე ევროპული ცივილიზაციების ორგანული კავშირის შეფასების უნარი (არჩევის შემთხვევაში);</p>
------------------------	--	--

### ბიზანტიური ფილოლოგიის მოდული

ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებულს აქვს ბიზანტიური ფილოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც კურსდამთავრებულს შესაბამის სფეროში მიღებული უახლესი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი, თანამედროვე და ორიგინალური იდეების, მოსაზრებებისა და ჰიპოთეზების შემუშავების საშუალებას აძლევს. კურსდამთავრებულს შეუძლია აგრეთვე ბიზანტიური ფილოლოგიის სფეროში

აქტუალური და რთული სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება და შესაბამისი მეთოდების შერჩევა, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენებით.

კურსდამთავრებულს აქვს ბიზანტიური ფილოლოგიის სფეროში შემავალი დისციპლინების რთული და კომპლექსური პრობლემატიკის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თანამედროვე ჰიპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების და მიღებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;

კურსდამთავრებულს აქვს აგრეთვე აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ბიზანტიური ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართულად და იმ უცხო ენაზე, რომელსაც ის ფლობს, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტებისა და დასკვნების გაზიარების მიზნით; კურსდამთავრებულს შეუძლია სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენებით; ბიზანტიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული უახლესი ელექტრონული რესურსების – საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

კურსდამთავრებულს აქვს ბიზანტიური ფილოლოგიის სფეროში არსებული უახლესი ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების, სწავლისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად გაგრძელების, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვის უნარი.

კურსდამთავრებულს აქვს აგრეთვე ბიზანტიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებისა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი. იგი პატივს სცემს საკუთარ პროფესიას, პროფესიული ეთიკის ნორმებს, ინტელექტუალურ საკუთრებას, მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს, ზოგადსაკაცობრიო, ევროპულ და ეროვნულ ღირებულებებს.

1. ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ამლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.	სტუდენტმა იცის: 1.1. ათასწლოვანი ბიზანტიური ლიტერატურის ძირითადი ჟანრები, მათი გენეზისი და ისტორია; ბიზანტიაში სააზროვნო მიმართულებებისა და ლიტერატურული გემოვნების ცვლილებათა მოტივები და მნიშვნელობა; ბიზანტიელთა მიერ ანტიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისებისა თუ ტრანსფორმირების მნიშვნელობა; ბიზანტიური ცივილიზაციის წვლილი აღმოსავლურ ქრისტიანული და ე. წ. დასავლური ტიპის კულტურის ფორმირებაში; ბიზანტიურ სამყაროსთან უშუალო კონტაქტში მყოფი შუა
--------------------------	---	--

		<p>საუკუნეების ქართული კულტურისა და, ზოგადად, მედიევისტიკის პრობლემები;</p> <p>1.2. ბიზანტიური ხანის ბერძნული ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები, კლასიკურ ბერძნულ ენასთან შედარებით მომხდარი ცვლილებების მიზეზები და შედეგები;</p> <p>1.3. შუა საუკუნეების ლათინური ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები; კლასიკურ ენასთან შედარებით მომხდარი ცვლილებების მიზეზები და შედეგები;</p> <p>1.4. ბერძნული ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხები; ბერძნული ანბანის, ზოგადად დამწერლობის ფორმები, მისი ისტორია და განვითარება;</p> <p>1.5. პატრისტიკული დოქმატიკის განვითარების ეტაპები, ძირითადი დოგმატური პრობლემები; ენის ფუნქცია საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური აზრის რეფერენციის სფეროში;</p> <p>1.6. სამეცნიერო-ფილოლოგიური შინაარსის ლათინური ტექსტის სინტაქსისა და ლექსიკის, ლათინურენოვანი ფილოლოგიური და ტექსტოლოგიური გამოკვლევების მახასიათებლები და თავისებურებები; კრიტიკული გამოცემის თანმხლები ლათინური ტერმინოლოგია;</p> <p>1.7. ანტიკური ეპოსი ღრმად და სისტემურად; ანტიკურ ეპოსთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემები; სრულად და ფრაგმენტულად მოღწეული პოემების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და ლათინური ეპიკური ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური ეპოსის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები;</p> <p>1.8. ანტიკური ლირიკა ღრმად და სისტემურად; ანტიკურ ლირიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემები; ლირიკოსთა ფრაგმენტულად და სრულად მოღწეული ტექსტების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და რომაული ლირიკული ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური ლირიკის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები;</p> <p>1.9. ანტიკური დრამა ღრმად და სისტემურად; კლასიკური ბერძნული ტრაგედიისა და კომედიის, ახალატიკური და რომაული კომედიის, რომაული ტრაგედიის კვლევასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო</p>
--	--	---

		<p>პრობლემატიკა; ანტიკური დრამის ფრაგმენტულად და სრულად მოღწეული ტექსტების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და რომაული დრამატული ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური დრამის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები;</p> <p>1.10. ახალი ბერძნული ენა ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების ექსდონიანი სისტემის დამოუკიდებელ, ე.წ. ზღვრულ B1 დონეზე;</p> <p>1.11. ერთ-ერთი ევროპული ენა (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად;</p> <p><b>შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში:</b></p> <p>1.12. ბიზანტიელი ავტორის (შერჩევით) ცხოვრებისა და შემოქმედების განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები; შერჩეული ნაწარმოების/ნაწარმოებების ტექსტოლოგიური, ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ასპექტები; დოგმატურ-საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია ბერძნულ ენაზე, მისი ძველი და ახალქართული შესატყვისები;</p> <p>1.13. ლათინურენოვანი საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, გვიანი ლათინურის მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები, ავგუსტინეს შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები, ტრინიტარული დოგმატიკის ძირითადი ნიშნები, ანუ მისი ფსიქოლოგიური, ლოგიკური და არტიკულაციური ასპექტები;</p> <p>1.14. პავლე მოციქულის ღვთისმეტყველების მახასიათებლები და თავისებურებები;</p> <p>1.15. ბიზანტიური ეპოქის საღვთისმეტყველო ლიტერატურის და ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები; ისეთი საღვთისმეტყველო იდეები, როგორებიცაა: სწავლება ადამიანის შექმნის შესახებ, ხატება და მსგავსება ღვთისა, თავისუფალი ნების იდეა, ღვთის შემეცნება, ქრისტიანული ესქატოლოგია;</p> <p>1.16. ქრისტიანული ფილოსოფიისა და ღმრთისმეტყველების საფუძვლები; ქრისტიანი ფილოსოფოსების მიერ ანტიკური ფილოსოფიის ინტერპრეტაციის თავისებურებები; არეოპაგატიკაში გადმოცემული თეოლოგიურ-</p>
--	--	---

		<p>ფილოსოფიური სწავლებანი;</p> <p>1.17. პალეოლოგოსთა ხანის ბიზანტიური ისტორიოგრაფია ღრმად და სისტემურად;</p> <p>1.18. XI-XII საუკუნეების ბიზანტიის ინტელექტუალური მოძრაობის რაობა; ბიზანტიელ ავტორთა ფილოსოფიური შრომების, შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიის ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები; ბერძნული ფილოსოფიური ენა – ფილოსოფიურ ტერმინთა მნიშვნელობები, სხვადასხვა ავტორთან მათი ნიუანსური ცვლილებები და ინტერპრეტაციები;</p> <p>1.19. ანტიკური ნეოპლატონიზმის ძირითადი ფილოსოფიური საკითხები, მახასიათებლები და თავისებურებები; ანტიკური ნეოპლატონიზმის მიმართება პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიებთან, მათ შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები; ნეოპლატონიზმის ძირითადი ფილოსოფიური საკითხების მნიშვნელობა ქრისტიანული ფილოსოფიისათვის; შუა საუკუნეებისა და რენესანსის პერიოდის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტექსტების მიმართებები ნეოპლატონურ თეორიებთან;</p>
<p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p>	<p>სტუდენტს შეუძლია:</p> <p>2.1. ბიზანტიურ, შუა საუკუნეების ბერძნულ ენაზე შექმნილი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების კითხვა, თარგმნა და შესაბამისი ფილოლოგიური (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი) კომენტარების მომზადება;</p> <p>2.2. შუა საუკუნეების ლათინური მხატვრული, ისტორიული, იურიდიული ტექსტების კითხვა, თარგმნა და შესაბამისი ფილოლოგიური (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი) კომენტარების მომზადება;</p> <p>2.3. სხვადასხვა პერიოდის ძველი ბერძნული წარწერებისა და ხელნაწერების კითხვა;</p> <p>2.4. სხვადასხვა ჟანრის თხზულებების ფილოლოგიური ანალიზი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი, მათ შორის კომპარატივისტული კვლევის მეთოდების გამოყენებით;</p> <p>2.5. ლათინური ტექსტის კრიტიკული აპარატის დამოუკიდებლად გამართვა უახლესი მეცნიერული ნორმების გათვალისწინებით;</p>

		<p>2.6. ნებისმიერი სხვაენოვანი ტექსტის გამოსაცემად მომზადება კოდიკოლოგიური კვლევის საფუძველზე;</p> <p>2.7. კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება და რეფერატული ნაშრომის მომზადება ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის და კერძოდ ბიზანტიური ფილოლოგიის ამა თუ იმ დისციპლინის ცალკეულ ასპექტთა შესახებ;</p> <p>2.8. ბერძნულ–რომაულ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობა;</p> <p>2.9. ბიზანტიური ფილოლოგიის სფეროს აქტუალური, რთული და კომპლექსური სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება;</p> <p>2.10. ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში;</p> <p>2.11. ნებისმიერი სირთულის ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული ტექსტის შედარება ძველ ქართულ თარგმანთან (არჩევის შემთხვევაში);</p> <p>2.12. ბიზანტიური ლიტერატურის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო საკითხების კვლევა უახლესი მეთოდების გამოყენებით (არჩევის შემთხვევაში);</p>
<p>3. დასკვნის უნარი</p>	<p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>	<p>სტუდენტს აქვს:</p> <p>3.1. ბერძნულ–რომაული და კერძოდ ბიზანტიური ფილოლოგიის სფეროში შემავალი დისციპლინების რთული და კომპლექსური პრობლემეტიკის კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნებისა და არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>3.2. ბერძნულ–რომაული და კერძოდ ბიზანტიური ფილოლოგიის სფეროში არსებული უახლესი ინფორმაციის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თანამედროვე ჰიპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>3.3. ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სფეროში მიღებული უახლესი</p>

		<p>ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;</p> <p>3.4. შუა საუკუნეების ლათინური ენის გრამატიკის განმარტების, სინტაქსური და სტილური თავისებურებების გააზრების უნარი;</p> <p>3.5. არასრული ინფორმაციის მიხედვით (მაგ. ფრაგმენტი, ლაკუნიაანი ტექსტი) ტექსტის სრული სურათის აღდგენა-რეკონსტრუქციის უნარი;</p>
4. კომუნიკაციის უნარი	<p>თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.</p>	<p>სტუდენტს აქვს:</p> <p>4.1. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ბერძნულ-რომაული და კერძოდ ბიზანტიური ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართულად და იმ უცხო ენაზე (ენებზე), რომელსაც ის ფლობს, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტებისა და დასკვნების გაზიარების მიზნით;</p> <p>4.2. ახალბერძნულად ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;</p> <p>4.3. სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობისა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენებით;</p> <p>4.4. ბერძნულ-რომაულ და კერძოდ ბიზანტიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული უახლესი ელექტრონული რესურსების – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენების უნარი;</p> <p>4.5. საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;</p>
5. სწავლის უნარი	<p>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.</p>	<p>სტუდენტს აქვს:</p> <p>5.1. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვის უნარი;</p> <p>5.2. ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სფეროში არსებული, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული პუბლიკაციების, ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების უნარი;</p>



		5.3. ბერძნულ–რომაული და კერძოდ ბიზანტიური ფილოლოგიის სფეროში დამოუკიდებლად სწავლისა და სამეცნიერო კვლევის გაგრძელების უნარი;
6. ღირებულებები	ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.	<p>სტუდენტს აქვს:</p> <p>6.1. საკუთარი პროფესიისადმი, დაკისრებული მოვალეობებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა;</p> <p>6.2. ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი;</p> <p>6.3. ჭეშმარიტი მეცნიერული ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი;</p> <p>6.4. პიროვნებისა და მისი უფლებებისადმი პატივისცემის გრძნობა;</p> <p>6.5. ზოგადსაკაცობრიო, ევროპული და ეროვნული, ქრისტიანული და ჰუმანური ღირებულებების მიმართ პატივისცემის გრძნობა;</p> <p>6.6. ეთიკურ, ინტელექტუალურ და კულტურულ ღირებულებებთან სწორი შეფასების უნარი;</p> <p>6.7. მსოფლმხედველობრივი და რელიგიური შემწყნარებლობის გრძნობა;</p> <p>6.8. ბერძნულ–რომაულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;</p> <p>6.9. ბერძნულ–რომაულ და კერძოდ ბიზანტიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი;</p> <p>6.10. მეცნიერული ღირებულებებისადმი (როგორცაა, მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემა, აკადემიური პატიოსნება და სხვ.) საკუთარი და სხვისი დამოკიდებულების შეფასების უნარი.</p>

### ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდული

ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებულს აქვს ახალი ბერძნული ფილოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც კურსდამთავრებულს შესაბამის სფეროში მიღებული უახლესი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი, თანამედროვე და ორიგინალური იდეების, მოსაზრებებისა და ჰიპოთეზების შემუშავების საშუალებას აძლევს. კურსდამთავრებულს შეუძლია აგრეთვე ახალი ბერძნული ფილოლოგიის

სფეროში აქტუალური და რთული სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება და შესაბამისი მეთოდების შერჩევა, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენებით. კურსდამთავრებულს აქვს ახალი ბერძნული ფილოლოგიის სფეროში შემავალი დისციპლინების რთული და კომპლექსური პრობლემატიკის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თანამედროვე ჰიპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების და მიღებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;

კურსდამთავრებულს აქვს აგრეთვე აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ახალი ბერძნული ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართულად, ახალ ბერძნულად და იმ უცხო ენაზე, რომელსაც ის ფლობს, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტებისა და დასკვნების გაზიარების მიზნით; კურსდამთავრებულს შეუძლია სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენებით; ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული უახლესი ელექტრონული რესურსების – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

კურსდამთავრებულს აქვს ახალი ბერძნული ფილოლოგიის სფეროში არსებული უახლესი ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების, სწავლისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად გაგრძელების, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვის უნარი.

კურსდამთავრებულს აქვს აგრეთვე ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებისა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი. იგი პატივს სცემს საკუთარ პროფესიას, პროფესიული ეთიკის ნორმებს, ინტელექტუალურ საკუთრებას, მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს, ზოგადსაკაცობრიო, ევროპულ და ეროვნულ ღირებულებებს.

1. ცოდნა და გაცნობიერება	<p>აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.</p>	<p>სტუდენტმა იცის:</p> <p>1.1. XIX-XX საუკუნეებში ევროპულ და ბერძნულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები და ამ პერიოდის ბერძენი მწერლების შემოქმედება;</p> <p>1.2. ახალი ბერძნული ენის ფორმირების ძირითადი ეტაპები კონსტანტინოპოლის დაცემიდან უახლეს ეპოქამდე;</p> <p>1.3. მნიშვნელოვანი თანამედროვე ბერძენი პოეტების შემოქმედება, მნიშვნელობა და გავლენა უახლეს ბერძნულ მწერლობაზე;</p>
--------------------------	--	---

		<p>1.4. XX საუკუნეში ბერძნულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები და ბერძნული ლიტერატურული სკოლების თავისებურებები, ამ პერიოდის ბერძნული ლიტერატურული ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ბერძნული ლიტერატურის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა; ახალი ბერძნული ლიტერატურა თანამედროვე ევროპული ლიტერატურული პროცესების კონტექსტში;</p> <p>1.5. “ანტიკური ტრადიციის” რაობა, მისი ასახვა და გავლენა ევროპულსა და თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაზე; ანტიკურობის, როგორც თანამედროვე ხელოვანთა მასტიმულირებელი ფაქტორის, აქტუალობის განმაპირობებელი მიზეზები;</p> <p>1.6. ანტიკური თეატრის რაობა და ანტიკური დრამის, ძირითადად, ტრაგედიის რეცეფცია თანამედროვე ლიტერატურაში; ანტიკური ტრაგედიის პერსონაჟების თანამედროვე თეატრისათვის აქტუალობის განმსაზღვრელი ფაქტორები; ანტიკურ თემატიკაზე თანამედროვე დრამატული ნაწარმოებების შექმნის მასტიმულირებელი ფაქტორები;</p> <p>1.7. ანტიკური ეპოსი ღრმად და სისტემურად; ანტიკურ ეპოსთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკა; სრულად და ფრაგმენტულად მოღწეული პოემების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და ლათინური ეპიკური ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური ეპოსის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები;</p> <p>1.8. ანტიკური ლირიკა ღრმად და სისტემურად; ანტიკურ ლირიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკა; ლირიკოსთა ფრაგმენტულად და სრულად მოღწეული ტექსტების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და რომაული ლირიკული ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური ლირიკის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები;</p> <p>1.9. ანტიკური დრამა ღრმად და სისტემურად; კლასიკური ბერძნული ტრაგედიისა და კომედიის, ახალატიკური და რომაული კომედიის, რომაული ტრაგედიის კვლევისა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკა; ანტიკური დრამის ფრაგმენტულად და სრულად მოღწეული ტექსტების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და რომაული დრამატული ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური დრამის</p>
--	--	---

		<p>რეცეფციის ძირითადი მიმართულებები;</p> <p>1.10. ახალბერძნული მაღალფარდოვანი (მწიგნობრული) და სამეცნიერო ენის მორფოლოგიური, სინტაქსური და სტილური თავისებურებები;</p> <p>1.11. ახალ ბერძნული მაღალფარდოვანი (მწიგნობრული) ენის რთული გრამატიკული კონსტრუქციები, იდიომატური გამოთქმები, სამეცნიერო ნაშრომებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა და ფრაზეოლოგია;</p> <p>1.12. ერთ-ერთი ევროპული ენა (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად;</p> <p><b>შესაბამისი სასწავლო კურსის არჩევის შემთხვევაში:</b></p> <p>1.13. თანამედროვე ბერძენი ავტორის (შერჩევით) ცხოვრებისა და შემოქმედების განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები თანამედროვე ევროპული ლიტერატურული პროცესების კონტექსტში; შერჩეული ნაწარმოების/ნაწარმოებების მხატვრული და კონცეპტუალური მახასიათებლები;</p> <p>1.14. ემიგრანტი ბერძნების ცხოვრებასთან დაკავშირებული მხატვრული ლიტერატურა; ემიგრანტი ბერძნების იდენტობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები;</p> <p>1.15. თანამედროვე ბერძნული მოთხრობის წარმოშობა, განვითარება, სტრუქტურა, ტენდენციები და სტილი; გ. ვიზინოსის, ალ. პაპადიამანდისის, ა. კარკავიცას შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები;</p> <p>1.16. ბერძენი სიურეალისტების შემოქმედება და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა; მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ბერძნულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები;</p> <p>1.17. მინისტური მოძრაობის გავლენა ახალ ბერძნულ მწერლობაზე; თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის გენდერული პრობლემატიკა და მასთან დაკავშირებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა;</p> <p>1.18. თანამედროვე ბერძნული კულტუროლოგიის საკითხები, კერძოდ, XX საუკუნის ბერძნულ ლიტერატურაში წარმოდგენილი რიტუალები; რიტუალთა ფუნქცია და როლი, მათი უნივერსალური და საკუთრივ ბერძნული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ასპექტები; იმ მწერალთა</p>
--	--	---

		<p>შემოქმედება, რომელთა ნაწარმოებებშიც ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა ბერძნული რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების დიაქრონული ასპექტები;</p> <p>1.19. ბერძნული საზოგადოების ტრანსფორმაციის ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ბერძნულ ლიტერატურაზე XIX-XX სს.-ში; ბერძნული ლიტერატურისა და იდენტობის პრობლემატიკის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა;</p> <p>1.20. კვიპროსული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპები, კვიპროსელი ავტორების შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები;</p>
<p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p>	<p>სტუდენტს შეუძლია:</p> <p>2.1. ახალბერძნულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება;</p> <p>2.2. კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება ახალი ბერძნული ფილოლოგიის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;</p> <p>2.3. კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება და რეფერატული ნაშრომის მომზადება ბერძნულ-რომაული და კერძოდ ახალი ბერძნული ფილოლოგიის ამა თუ იმ დისციპლინის ცალკეულ ასპექტთა შესახებ;</p> <p>2.4. ბერძნულ-რომაულ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობა;</p> <p>2.5. მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიება, კრიტიკული შეფასება და რეპროდუქცია;</p> <p>2.6. ნებისმიერი სირთულის პოეტური და პროზაული ტექსტის წაკითხვა და თარგმნა ახალი ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ახალ ბერძნულად;</p> <p>2.7. ახალ ბერძნულ ენაზე სამეცნიერო ტექსტების გაგება, ანალიზი, ინტერპრეტაცია და რეპროდუქცია;</p> <p>2.8. ნებისმიერი სირთულის სამეცნიერო ტექსტის თარგმნა ახალი ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ახალ ბერძნულად;</p> <p>2.9. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში</p>

		<p>მოქმედება;</p> <p>2.10. ბერძნულ და მშობლიურ ლიტერატურას შორის ტიპოლოგიური პარალელების დაძვინა;</p> <p>2.11. ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი ანტიკურ ტრადიციასთან მიმართებაში; თანამედროვე ლიტერატურულ ნაწარმოებში, მათ შორის დრამატულ ტექსტში ანტიკური ტრადიციის გავლენის იდენტიფიკაცია კვლევის კომპარატივისტული მეთოდების გამოყენებით;</p> <p>2.12. ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში;</p>
3. დასკვნის უნარი	<p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>	<p>სტუდენტს აქვს:</p> <p>3.1. ბერძნულ–რომაული და კერძოდ ახალი ბერძნული ფილოლოგიის სფეროში შემავალი დისციპლინების რთული და კომპლექსური პრობლემატიკის კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნებისა და არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>3.2. ბერძნულ–რომაული და კერძოდ ახალი ბერძნული ფილოლოგიის სფეროში არსებული უახლესი ინფორმაციის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თანამედროვე ჰიპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>3.3. ახალი ბერძნული ენის რთული გრამატიკული კონსტრუქციების განმარტების უნარი;</p> <p>3.4. ახალ ბერძნულ ენაზე სამეცნიერო ხასიათის ტექსტების მორფოლოგიური, სინტაქსური და სტილური თავისებურებების გააზრების უნარი;</p> <p>3.5. ბერძნულ–რომაული და კერძოდ ახალი ბერძნული ფილოლოგიის სფეროში მიღებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;</p>
4. კომუნიკაციის უნარი	თავისი დასკვნების,	სტუდენტს აქვს:

